

როგორ გავზარდოთ საბაზო საფეხურის მოსწავლეების
მოტივაცია მასწავლებლის როლის გათვალისწინებით
გერმანული ენის სწავლებისას

/კვლევის ანგარიში/

ნათია ჯანჯღავა

ქართულ-ამერიკული სკოლა „პროგრესი“

2018წ.

კვლევის სტრუქტურა

შესავალი.....გვ. 4

თავი I - საკვლევი საკითხის მიმოხილვა.....გვ. 5

- 1.1. საკვლევი თემის აქტუალურობა
- 1.2. პრობლემის ანალიზი
- 1.3. კვლევის მიზანი

თავი II - ლიტერატურის მიმოხილვა.....გვ. 8

- 2.1. მოტივაცია და მოტივაციის ამალღების საშუალებები.
- 2.2. მოტივაციური ფაქტორების გავლენა მოსწავლეთა აზროვნებაზე და გავლენის ექსპერიმენტული კვლევის შედეგები.
- 2.3. შექების მოტივაციური ფაქტორების გავლენა გარდამავალი ასაკის მოსწავლეთა აზროვნებაზე.
- 2.4. შეჯიბრის გავლენა გარდამავალი ასაკის მოსწავლეთა აზროვნებაზე
- 2.5. მასწავლებლის ფსიქოლოგიური მომზადების საკითხები.
- 2.6 მოსწავლეთა მოტივაციის ჩამოყალიბების სტრატეგიები.
- 2.7. აბრაამ ჰაროლდ მასლოუს მოტივაციის იერარქიული მოდელი
- 2.8. მოტივაციის არსი

თავი III. მეთოდოლოგია და საკვლევი კითხვები.....გვ.15

- 3.1. საკვლევი კითხვები: მთავარი შეკითხვა
- 3.2. კვლევის სამიზნე ჯგუფები
- 3.3. კვლევის განრიგი/ვადები

თავი IV- კვლევის შედეგები	გვ. 18
4.1. მონაცემების ანალიზი	
4.2. ინტერვიუ მასწავლებლებთან	
4.3. ანკეტა ადმინისტრაციისთვის	
4.4. ძირითადი მიგნებები	
თავი V- ინტერვენციის აღწერა და მისი შედეგები	გვ. 23
5.1. ინტერვენცია	
5.2. ინტერვენციის მიზანი	
5.3. ინტერვენციის შეფასება	
5.4. ინტერვენციის შედეგები	
თავი VI - რეკომენდაციები და კვლევის შედეგები	გვ. 26
6.1. რეკომენდაციები	
6.2. კვლევის შედეგები	
დასკვნა	გვ. 28
7.1. დასკვნა	
7.2. კვლევებთან გაზიარება	
გამოყენებული ლიტერატურა	გვ. 29
დანართი	გვ. 29

შესავალი:

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ქ.ქუთაისის ქართულ-ამერიკული სკოლა „პროგრესის“ მასწავლებლის ნათია ჯანჯღავას მიერ განხორციელებული კვლევის ანგარიშს.

კვლევის მიზანია:

- ✓ საბაზო საფეხურის VIII კლასის მოსწავლეებში სწავლისადმი დაბალი მოტივაციის დონის მიზეზების დადგენა.
- ✓ საბაზო საფეხურის მოსწავლეების მოტივაციის გაზრდა მასწავლებლის როლის გათვალისწინებით.

ნაშრომი შედგება 7 თავისაგან:

I. თავში მოცემულია საკვლევი საკითხის აქტუალობა, კვლევის მიზანი, კვლევის სტრუქტურა და ძირითადი დასკვნები.

II. თავში მოცემულია სხვადასხვა ავტორის მოსაზრებები და კვლევები მოტივაციის ამაღლებაზე.

III. თავი მოიცავს საკვლევი საკითხის კითხვებს, კვლევის სამიზნე ჯგუფს, კვლევის მეთოდებს.

IV. თავი ეხება კვლევის შედეგებს, მონაცემთა ანალიზს, ძირითად მიგნებებსა და ინტერვენციებს.

V. თავში განხილულია ინტერვენციის მეთოდები და შეფასება.

VI. თავში აღწერილია კვლევის ჯგუფის რეკომენდაციები და შედეგები,

VII. თავი არის დასკვნა.

კვლევის ანგარიშს თან ახლავს ბიბლიოგრაფია და დანართები.

I თავი

საკვლევი თემის აქტუალურობა:

საკვლევი თემა აქტუალურია და ზოგადად საბაზო საფეხურის მოსწავლეებში მოტივაციის დონე დაბალია. თუმცა **ეროვნული სასწავლო გეგმა, მუხლი 34**. მიუთითებს, რომ მოტივაცია მოსწავლეებში მთავარია. მოსწავლის მოტივაციის გაზრდა, რომლის მიხედვით სწავლების პროცესში გასათვალისწინებელია, რომ მოსწავლის მოტივაცია იზრდება, თუ ის ხედავს, რომ მასწავლებლის პრიორიტეტი მისი შედეგის განსჯა-შეფასებაა.

ასევე მოსწავლის მოტივაცია იზრდება, თუ ის ხედავს დავალების მიზანს, დარწმუნდებულია მის საჭიროებაში. მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა გააგებინოს, რა მიზანს ემსახურება კონკრეტული დავალება. აუცილებელია, მოსწავლემ დაინახოს კავშირი სკოლაში მიმდინარე საქმიანობასა და სკოლის გარეთ მიმდინარე ცხოვრებას შორის.

ჩემი სასკოლო პრაქტიკიდან ჩანს, რომ სასკოლო მოტივაციის პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია სასკოლო სწავლების მე-2 საფეხურზე გადასვლისას. ჩემთვის მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა, როგორ გავხადოთ მოსწავლე მოტივირებული მასწავლებლის როლის გათვალისწინებით და დავსახო ინტერვენციები, რომელიც გაუღვიძებს ინტერესს გერმანული ენის სწავლისადმი.

საკითხი ძალიან მაინტერესებს, დიდი ხანია ვცდილობს მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლებას მასწავლებლის როლის გათვალისწინებით. რა თქმა უნდა ახალაღ დიდი სურვილი მაქვს, კოლეგებთან და მშობლებთან ერთად მოვახდინო პრობლემის იდენტიფიცირება და ამ პრობლემის აღმოფხვარს შევეცადოთ.

მოსწავლეთა დაბალ მოტივაციას იწვევს მოსწავლეთა ნაკლები ჩართულობა სხვადასხვა სახის პროგრამებში, სწავლება-სწავლის ტრადიციული მოდელები, შექებისა და ჯილდოს სიმცირე და სხვა. თუმცა თანამედროვე ეროვნული სასწავლო გეგმის შემოღების შემდეგ მოლოდინი იყო, რომ ეს პრობლემა უნდა მოგვარებულიყო, რადგან მოტივაცია ძალიან დიდ გავლენას ახდენს მოსწავლეებზე სწავლასთან დაკავშირებით.

კვლევის ჩატარება განაპირობა იმ საკითხმა, რომ ეს მოსწავლეები ადრე უკვე სწავლობდნენ გერმანულ ენას. ეხლა ისინი იმყოფებიან საბაზო საფეხურზე, ნაკლებად აქვთ შინაგანი მოტივაცია. ნაკლები ინტერესია საგნისადმი. არ არის ჯანსარი ურთიერთობა მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის, ნაკლებად ეძლევათ მოსწავლეებს იმის საშუალება, რომ აირჩიოს თემა ან საკითხი. ნაკლებია საბაზო საფეხურის მოსწავლეებში მასწავლებლის როლი მოტივაციის ამაღლებასთან დაკავშირებით. ნაკლები ყურადღება სუსტ მოსწავლეს. ნაკლები თვალის კონტაქტი სუსტ მოსწავლეს

2017-2018 სასწავლო წლის დასაწყისისთანავე ვაკვირდებოდი VIII კლასის მოსწავლეებს, თუ რამდენად არიან მოტივირებული. შეიმჩნეოდა საგნისადმი ნაკლები ინტერესი. ნაკლებად იყვნენ სხვადასხვა სახის ღონისძიებებში, საერთაშორისო გამოცდებში ჩართული.

ჩემი როგორც მასწავლებლის მთავარ ფუნქციას კი წარმოადგენს ავუმაღლო მოსწავლეებს მოტივაცია გერმანულ ენაში.

ყველა ზემოთქმულის გათვალისწინებით, ჩემი აზრით, საკითხი მეტად აქტუალურია. ამის ნიადაგზე გადავწყვიტე კვლევა ჩამეტარებინა საბაზო საფეხურის მოსწავლეებში გერმანული ენის სწავლების ინტერესის გაღვიძების მიზნით.

ჩემი მიზანი იყო: ამემალეებინა მოტივაციის დონე მასწავლებლის როლის გათვალისწინებით გერმანული ენის სწავლებისას. წინასწარ გავანალიზე და ეტაპობრივად დავეგეგმე კვლევა არსებულ საკითხთან დაკავშირებით. გავეცანით შესაბამის ლიტერატურას. დავისახე ინტერვენციები, რომელიც ხელს შეუწობს მოტივაციის ამაღლებას.

პრობლემის ანალიზი: რატომ გადავწყვიტე მოტივაციასთან არსებული პრობლემის განხილვა და ამ პრობლემის გზების ძიება?

ჩემი პედაგოგიური პრაქტიკის განმავლობაში მოსწავლეთა სწავლის შედეგებზე დაკვირვებით იკვეთება, რომ მოსწავლეების მოტივაცია სწავლისადმი, ზოგადად გერმანული ენის საგნისადმი არ არის მაღალი, რასაც ადასტურებს მიმდინარე სასწავლო პროცესი.

სწავლის პროცესში იკვეთება, რომ მოსწავლეების მოტივაცია სხვადასხვა ფაზებში განსხვავებულია. მასწავლებლის როლი ნაკლებია მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების კუთხით. მოსწავლეები არ არიან თანამშრომლობით პოზიციაში სხვადასხვა სახის პროექტების დროს, არამედ არიან პასიურები და ნაკლებად ერთვებიან ღონისძიებებში, საგაკვეთილო პროცესებში, შეინიშნება თვითდაუჯერებულების სინდრომი. არ შეუძლიათ ტექსტის ძირითადი აზრის წვდომა, პასიურები არიან ვიქტორინის თამაშის დროს. აქვთ ოლიმპიადებისა და საერთაშორისო გამოცდების შიში. ამ საფეხურზე, ზოგადად, მოტივაცია ნაკლებია სწავლისადმი და მოითხოვს სხვადასხვა სახის აქტივობების განხორციელებას. აუცილებელია მასწავლებლის როლის გათვალისწინებით შევძლოთ მოსწავლეებში მოტივაციის დონის გაზრდა.

როგორც ვიცით, ვინც მოტივირებულია, სწავლა სიამოვნებას ანიჭებს და საუკეთესო ნიშნებსაც ღებულობს. მოტივაცია არის წარმატებული სკოლის კარიერისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საყრდენი.

წარმატების ფორმულაა: შეუძლია ამის გაკეთება. მაგრამ ეს სწორედ ის არის, სადაც პრობლემა მდგომარეობს. ბევრი მოსწავლე არ არის ნიჭიერი, მათ არ გააჩნიათ შიდა მოტივაცია. ეს შესაძლოა იყოს მარტივი. ზოგიერთი მოსწავლე სწავლობს იმის გამო, რომ რაღაცით დაჯილდოვდება. თუ შიდა მოტივაცია აქტიურია, ტვინი სრული სისწრაფით მოძრაობს და ეს მოსწავლის გონებაზეც აისახება. ვფიქრობ, მიცემული დავალება არ უნდა იყოს ძალიან ადვილი ან ძალიან რთული. ეს უნდა იყოს შეფარდებითი. თითოეული დავალების შესრულებისას მასწავლებელი ფასილიტატორის როლში უნდა გამოდიოდეს.

მოსწავლეებთან ხშირი შეხვედრებისა და მშობლების გამოკითხვის შედეგად და მათთან საუბრისას დავადგინე, რომ ბევრი მშობელი ცდილობს ბავშვებში სხვადასხვა გზით მოტივაციის ამალვებას. მაგ: თუ კი კარგ ქულას მიიღებს, ამისთვის დედა მას აჯილდოვებს 5 ლარით. დროთა განმავლობაში იწყება ფულით მოხიზვლა და მოტივაცია იკარგება. ხშირად ისმის ფრაზები- „ისწავლი გაკვეთილებს და გაგიშვებ კინოში“, „არ მიიღებ კარგ ნიშნებს და არ გიყიდი იმას, რაც გსურს“, „კარგად ისწავლი -გიყიდი iPhone“, „მიიღებ 10 ქულას წაგიყვან მაგდონალცში“ და ა.შ...

ასეთი შემთხვევის დროს, მოტივაცია ყალიბდება სქემით - „სტიმული - რეაქცია“, სადაც სტიმული არის ერთგვარი „თაფლი“, რომელსაც ღებულობს ადამიანი ვინმესგან საჭირო მოქმედების შედეგად, ან პირიქით, ეს არის „მათრახი“, როდესაც ცდილობს ისწავლოს დასჯის შიშის გამო.

ეს არის გარეგანი მოტივაცია, როცა მოსწავლე სწავლობს ან ასრულებს შესაბამის სამუშაოს გარეგანი ზემოქმედების ან მოთხოვნის შესაბამისად, ჯილდოს მიღების, ან დასჯის შიშის გამო.

არსებობს უამრავი მიზეზი იმისა, რომ არ ჰქონდეს მოსწავლეს სწავლისადმი ინტერესი. ერთი შეხედვით გერმანული ენის რთული დავალება. რატომ გახდა ცნობისმოყვარე ბავშვი დრამატული მოსწავლე? რა ხელის შემშლელი ფაქტორები არსებობს? რატომ უნდა გავხადოთ მოსწავლე მოტივირებული? რატომ უნდა განხორციელდეს სხვადასხვა სახის ღონისძიებები? რატომ უნდა მოხდეს მასწავლებლის როლის გათვალისწინებით მოსწავლეთა მოტივირება? და ა. შ.

ვფიქრობ, სწავლა სიხარულს უნდა წარმოადგენდეს. როდესაც მოსწავლეები თავს კომფორტულად გრძნობენ, ისინი უფრო მოტივირებული არიან, ახალი რამ შეიტყონ და ყველაფერი გააკეთონ. მასწავლებლის როლის გათვალისწინებით აუფუძალდო მოსწავლეებს მოტივაცია გერმანული ენის სწავლებისადმი. ასევე ვფიქრობ, ამ შემთხვევაში მასწავლებლის პიროვნული თვისებები თამაშობს დიდ როლს. ჰუმანურ, შრომისმოყვარე და სამართლიან მასწავლებელს შეუძლია უდიდესი წვლილის შეტანა მოსწავლის პიროვნებად ჩამოყალიბებაში.

ვთვლი, რომ ჩემს პრაქტიკაში ამ მიმართულებით გარკვეული საჭიროებები გამოიკვეთა. ყველა ზემოთ თქმულის გათვალისწინებით ჩემი აზრით საკითხი მეტად აქტუალურია.

კვლევის მიზანი:

განათლების რეფორმის მიზანია მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლება სწავლისადმი.

კვლევის მიზანია გერმანული ენის სწავლისადმი დაბალი მოტივაციის მიზეზების დადგენა, ანალიზი და მისი გამოსწორების გზების დასახვა.

მნიშვნელოვანია კვლევის ფარგლებში გაანალიზებული იქნას გერმანული ენის გაკვეთილზე როგორ ხდება საგნისადმი ინტერესის გაღვიძება, როგორია მასწავლებლის როლი, რომელი სააზროვნო უნარების (ანალიზი, სინთეზი, შეფასება) განვითარებას მოიცავს, რა სახის ღონისძიებებს მიმართავს მოტივაციის ამაღლების კუთხით, როგორ ხდება მარტივიდან რთულისკენ გადასვლა.

კვლევის ფარგლებში აუცილებელია მოვიკვლიო გერმანული ენის გაკვეთილზე მოტივაციის გაზრდა, ცნობისმოყვარეობის გაღვიძება და ინტერესის წარმოქმნა მასწავლებლის დახმარებით, რატომ ვსწავლობთ საერთოდ? კარგი ნიშნები, შექება, რამდენად უწყობს ხელს მოტივაციის ამაღლებას სხვადასხვა სახის პროექტებში ჩართვა. ჩემი მიზანია გავუღვიძო მოსწავლეებს სწავლისადმი სიყვარული და ინტერესი. გავუმარტივო გერმანული ენის შესწავლა, დავანახო მისი საჭიროება. პრობლემის გამოსასწორებლად ინტერვენციების დაგეგმვა, განხორციელება და მიღწეული შედეგების შეფასება. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით მოსწავლეებთან მორეკომენდაციების შემუშავება. ტივაციის ამაღლებასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრის გზებზე მუშაობის დროს პრობლემის ჩემი, როგორც პედაგოგის როლი იმაში მდგომარეობს, თუ როგორ ვუწყობ ხელს მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლებას. რა ღონისძიებებს მივმართავ არსებულ პრობლემასთან დაკავშირებით.

II თავი

ლიტერატურული მიმოხილვა: უპირველესი და უმნიშვნელოვანესი, რისი გაანალიზებაც მიზნად დავისახე, ეს იყო მოტივაცია და მოტივაციის ამაღლების საშუალებები. საერთო სურათი ასე გამოიყურება: რას ნიშნავს გარეგანი და შინაგანი მოტივაცია.; რატომ არის მნიშვნელოვანი მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებაზე მუშაობა; რა სტრატეგიებს უნდა მიმართოს მასწავლებელმა მოსწავლეებში მოტივაციის ასამაღლებლად; როგორ უნდა დაიცვათ ბალანსი შინაგანი და გარეგანი მოტივაციის ასამაღლებელი სტრატეგიების გამოყენებისას.

მოტივაცია არის იმპულსი, შინაგანი პროცესი, რომელიც ადამიანს ქმედებებისკენ უბიძგებს და ამ ქმედებებს გარკვეული მიზნის მიღწევისკენ მიმართავს.

მოტივაციის ამაღლებაზე სისტემატიური მუშაობა დიდწილად განაპირობებს მოსწავლეთა მაღალ აკადემიურ მოსწრებას და სასწავლო პროცესის სასიამოვნოდ და სახალისოდ წარმართვას.

შინაგანი მოტივაციის ამალღებისთვის მასწავლებლები სხვადასხვა სტრატეგიას მიმართავენ:

- დავალების მოსწავლეთა ინტერესების მიხედვით შერჩევა;
- გარკვეულ შემთხვევებში მათთვის არჩევანის უფლების მინიჭება;
- თავისი აზრის, თუნდაც საწინააღმდეგო მოსაზრების თამამად გამოხატვის შესაძლებლობა;

გარეგანი მოტივაციის სტრატეგიები:

- გარკვეული ჯილდოს, საჩუქრის შეთავაზება კარგი ან გაუმჯობესებული შედეგებისათვის;
- წერილობითი და სიტყვიერი შექება;
- შეჯიბრის მოწყობა;

მოტივაციის ამალღების ძირითადი საშუალებებია: პიროვნული ურთიერთობები, სასწავლო ატმოსფერო და სასწავლო გეგმისა თუ კონკრეტული პედაგოგის მიერ წამოყენებული სასწავლო მოთხოვნები.

მოსწავლეებს, რომლებსაც მოსწონთ მასწავლებელი, კეთილსინდისიერად ეკიდებიან სასწავლო პროგრამას. ნაკლებად ქმნიან დისციპლინურ პრობლემებს და ითვალისწინებენ მასწავლებლის მოთხოვნებს.

გავეცანი ო. დევიდის მოტივაციური ფაქტორების გავლენა მოსწავლეთა აზროვნებაზე და გავლენის ექსპერიმენტული კვლევის შედეგებს.

გარდამავალი ასაკი , თავისი განვითარების თავისებურების გამო, ყველაზე მნიშვნელოვანი პერიოდია მოზარდის ცხოვრებაში. იგი 11-12 წლებში იწყება და 15-16 წლამდე გრძელდება. გარდამავალ ასაკში მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება როგორც მოზარდის ფიზიკურ, ისე ფსიქიკურ და პიროვნების სფეროს განვითარებაში. ეს კი გამოწვეულია სოციალურ მოთხოვნილებათა წინა პლანზე წამოწევით, რომელიც მათი შეფასებისა და მსჯელობის კრიტერიუმი ხდება.

სოციალური მოთხოვნილებები 3 ჯგუფად იყოფა: სასხვისო, სათავისო და სასხვისო-სათავისო მოთხოვნილებები. პირველი მიმართულია სხვების ინტერესების დაკმაყოფილებაზე. მეორე საკუთარ ინტერესებზეა მიმართული ისე რომ ანგარიში არ ეწევა სხვებს. პირიქით, სხვები შეიძლება გამოყენებულ იქნას საკუთარი მიზნების მისაღწევად. რაც შეეხება მესამეს-ის მიმართულია როგორც საკუთარ, ისე სხვებზე და ორივეს უწევს ანგარიშს. მისი მაგალითებია მეგობრობა და ამხანაგობა, თანამშრომლობა და ა.შ.

სოციალურ მოთხოვნილებებს პატარა ასაკის ბავშვების ცხოვრებაშიც უკავია გარკვეული ადგილი. როგორც ჩვენს მიერ მათთან ჩატარებულ ექსპერიმენტებში აღმოჩნდა, ისინი გარკვეულ ინტელექტუალურ ხარკსაც კი იწვევენ მათ დასაკმაყოფილებლად. ეს გარემოებაც წარმოადგენდა გარდამავალი ასაკის ბავშვებთან მსგავსი ექსპერიმენტის ჩატარების სტიმულს.

ცდები ჩატარებული იქნა მე-6, მე-7 და მე-8 კლასის მოსწავლეებთან, რომლებიც გარდამავალი ასაკის მოზარდებს წარმოადგენენ. თითოეულ საექსპერიმენტო ჯგუფში 100-100 ცდის პირი მონაწილეობდა. საექსპერიმენტო მასალად აქაც, ანაგრამები იყო გამოყენებული, რომლებსაც ასეთი სახე ჰქონდა: I. 1. ა-მ-კ-ი-ს, 2. ვ-ნ-ი-ა, 3. რ-ეს-კ-ა, 4. წ-ა-ნ-ო-მ-ი და II. 1. ნ-ა-რ-კ-ი 2. ო-რ-თ-ა 3. ე-ი-ჰ-რ-ა, 4. თ-ი-ს-ა-რ-უ, 5. ნ-ე-თ-ა-ს-ლ-ი. ანაგრამები მიღებული იყო შემდეგი სიტყვების დაშლით: I. სკამი, ნავი, სარკე, მაწონი და II-რკინა, თარო, ჰაერი, სურათი, სანთელი.

გარდამავალი ასაკის მოსწავლეებთან შექმნილი იყო საკონტროლო ჯგუფი. მკვლევარი არწმუნებდა მათ იმაში, რომ მათ ნამუშევრებს არავინ ნახავდა და შეამოწმებდა, ისინი ავლენდნენ გულგრილ დამოკიდებულებას დავალებისადმი.

დავალების შესრულებაზე ცდის პირებს 20 წუთი ეძლეოდათ, თუმცა ამის შესახებ ცდის პირებმა არაფერი იცოდნენ. 20 წუთის გასვლის შემდეგ პირებს ვთხოვდით მათი ნამუშევრების უკან დაბრუნებას. გამოირკვა, რომ მოსწავლეების გარკვეულ ნაწილს ან საერთოდ არ ჰქონდათ შესრულებული სამუშაო ან კიდევ ნაწილობრივ. ამის გამო, ცდის პირებმა აშკარად გამოხატეს უკმაყოფილება: “თუ ამას შეამოწმებდნენ, გეთქვამთ და გავაკეთებდით, რა უნდოდა მაგის გაკეთებას-ო“-აცხადებდნენ ისინი. უნდა აღინიშნოს მათ მიერ შესრულებულ სამუშაოთა უხარისხობა: ბევრი მათგანი ჰმუჭნიდა ფურცლებს და ხევდნენ კიდევაც.

ზოგიერთი ანაგრამა იძლეოდა იმის საშუალებას, რომ სხვა სიტყვა ყოფილიყო შედგენილი. ამის მსგავს შემთხვევას საკონტროლო ჯგუფში ადგილი არ ჰქონია, რაც შემოქმედებითი აზროვნების საქმეს წარმოადგენდა. როგორც მოტივირებული ჯგუფების მაჩვენებელი გვიჩვენებს, გარდამავალი ასაკის ბავშვები, ამ მხრივ, საკმაოდ მაღალ უნარს ავლენენ. ეს გარემოება იმის მაჩვენებელია, რომ კრეატიულობა ამ ასაკის პრობლემა კი არაა, არამედ, საკონტროლო ჯგუფში დამატებითი მოტივების არ არსებობა, რომლებიც მოსწავლეთა შემოქმედებითი აზროვნების გააქტიურებას იწვევს.

გავეცანი შექების მოტივაციური ფაქტორების გავლენა გარდამავალი ასაკის მოსწავლეთა აზროვნებაზე. შექება უშუალოდაა დაკავშირებული ადამიანის სოციალურ მოთხოვნილებათა სფეროსთან, კერძოდ, კი მის პრესტიჟულ მოთხოვნილებებთან. გარდამავ ასაკში აღნიშნული მოთხოვნილებები მთელი სიმძაფრით იჩენს თავს. საინტერესოა, ამ ასაკის მოზარდები, ამ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, რამდენად გამოიჩინენ თავს. შექება ხომ პირდაპირაა დაკავშირებული ავტორიტეტის მოპოვებასა და აღიარებასთან?

შექების მოპოვება სხვადასხვა გზით შეიძლება. ცდის პირებს ანაგრამები ეძლეოდათ. ცდის პირთა რაოდენობაც, თითოეულ საექსპერიმენტო ჯგუფში, 100-100-ს შეადგენდა. რაც შეეხება ინსტრუქციას, მას შემდეგი სახე ჰქონდა: „სკოლის დირექციასთან შეთანხმებით გადაწყდა, რომ

ქართულ-ამერიკული სკოლა „პროგრესის“ გერმანული ენის მასწავლებლის ნათია ჯანჯღავას

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის ანგარიში

2017-2018 სასწავლო წელი

ყოველ დილით, მთელი სკოლის წინაშე შევაქოთ და მადლობა გამოვუცხადოთ იმ მოსწავლეებს, რომლებმაც წინა დღეს გამოიჩინეს თავი სწავლაში. გაითვალისწინეთ ის, რომ მხოლოდ შექებას აქვს ადგილი. ამიტომ, თუ ვინმეს არ აინტერესებს შექება და თავის გამოჩენა, შეუძლია თავი არ შეიწუხოს სწავლით. მათ არც ცუდად და არც კარგად არავინ მოიხსენიებს. შექების მოტივაციური ფაქტორი დადებით ფონს ქმნის გარდამავალი ასაკის მოსწავლეთა აზროვნების მუშაობისათვის.

შექების მოტივაციური ფაქტორების გარდამავალი ასაკის მოსწავლეთა აზროვნებაზე გავლენა უფრო კარგად ანაგრამათა შესრულების საერთო მაჩვენებელში ჩანს. ასე მაგალითად: მე-8 კლასის მოსწავლეებს, საკონტროლოში სწორ პასუხთა რაოდენობა 455-ია მოტივირებულში კი 777. სხვაობა მათ შორის 322 ერთეულია.

რა დასკვნის საშუალებას გვაძვევს შედეგების რაოდენობრივი და თვისობრივი ანალიზი? პირველ რიგში იმისას, რომ შექების მოტივაციური ფაქტორი უშუალოდაა დაკავშირებული გარდამავალი ასაკის მოსწავლეთა პიროვნების პრესტიჟულ მოთხოვნილებებთან და იგი მის მოსაპოვებლად გარკვეულ ინტელექტუალურ აქტივობასაც არ ერიდება. აღნიშნული გარემოება მოსწავლეთა შემეცნებითი აქტივობის გაზრდის საფუძველი ხდება, რაც მათი აზროვნების რაოდენობრივი და შემოქმედებითი საქმიანობის გაზრდას იწვევს.

გავცანი შეჯიბრის გავლენა გარდამავალი ასაკის მოსწავლეთა აზროვნებაზე. შეჯიბრის მომენტში მოქმედებს პარტნიორზე საკუთარი უპირატესობის მოპოვების ან კიდევ რაიმე მატერიალური საგნების თუ ნივთების დაუფლების მოტივი. ჩვენ ინდივიდუალურ შეჯიბრებას ვიყენებდით, რომელშიც პირველი მოტივის მოქმედებას აქვს ადგილი: ცდის პირები საკუთარი უპირატესობის მოპოვების მოტივით ეჯიბრებიან ერთმანეთს.

როგორც ცნობილია გარდამავალ ასაკში, სხვა უამრავ თვისებასთან ერთად, წინ იწვევს მეგობრობის, მეგობრის მდგომარეობის გააზრებისა და ანგარიშის გაწევის გრძნობა. ამ გრძნობის გამო ისინი, ხანდახან, ცუდ საქმეშიც კი მიყვებიან ერთმანეთს. გაუტანლობა და მეგობრობაში ჩამორჩენა მისთვის უცხოა. აღიარების, საკუთარი უპირატესობის მოპოვებისა და დამტკიცების მოტივაციური ფაქტორები, რომლებიც შეჯიბრების პროცესის საშუალებით კმაყოფილდებიან, გარდამავალი ასაკის მოსწავლეთა აზროვნების პროდუქტიულობის გაზრდას იწვევენ. შეჯიბრება, როცა ის სოციალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საშუალებად იქცევა, ქმნის დადებით ემოციონალურ ფონს გარდამავალი ასაკის მოსწავლეთა აზროვნების მუშაობისთვის. მოტივაციური ფაქტორები ამ ასაკში გამოვლენილ მეგობრობისა და ამხანაგობის გრძნობას და საკუთარი პიროვნების აღიარებას უფრო მაღლა აყენებენ, ვიდრე ამხანაგის ინტერესებს.

ასევე გავცანი მოსწავლის მოტივაციის, სასწავლო პროცესის და მოსწავლეთა მოტივაციის ჩამოყალიბების სტრატეგიების შესახებ არსებულ ფსიქოლოგიურ ლიტერატურას “მასწავლებლის ფსიქოლოგიური მომზადების საკითხები“, რომელთა გათვალისწინებით შეუძლებელია რაიმე პროგრესის მიღწევა მოტივაციის ამაღლების კუთხით.

ამერიკელი ფსიქოლოგები მოტივის სამ ფუნქციას ასახელებენ: მოტივი აღძრავს ქცევას, აძლევს მიმართულებას და უზრუნველყოფს ამ ქცევის განხორციელებას. მოტივი უცხოელი ავტორების მიერ, ქცევის ენერგეტიკულ საფუძველს წარმოადგენს, რაც ქცევის აღმძვრელ ფუნქციასაც უსვამს ხაზს. ქართული ფსიქოლოგიისათვის მოტივის ასეთი გაგება შეიძლება არ იყოს მთლად მისაღები, მაგრამ ის, რომ ქცევის ორგანიზაციის საქმეში დიდ როლს ასრულებს, ეს უდავო ფაქტს წარმოადგენს. ისინი პასუხობენ კითხვაზე რატომ? და ეს სიტყვა არაა მნიშვნელობას მოკლებული. „რატომ უნდა ვისწავლო ეს საგანი?“ თუ ამ კითხვაზე მოსწავლე პასუხს მიიღებს, ის კიდევაც გამოიჩენს სათანადო აქტივობას ამ საგნის ასათვისებლად.

პროფ. შ. ჩხარტიშვილი, სასწავლო ქცევაში მონაწილე მოტივების ანალიზის საფუძველზე, სწავლის სამ ფორმას განასხვავებს: 1. მოტივაციურ საყრდენს მოკლებული ლიტერატურული სწავლა, 2. ჰეტეროგენული მოტივებით განსაზღვრული სწავლა და 3. საკუთარი ჰომოგენური მოტივებით განპირობებული სწავლა.

მოტივაციურ საყრდენს მოკლებული ანუ ლატენტური სწავლის დროს რაიმეს დასწავლას აქვს ადგილი, მაგრამ რაიმეს დასწავლა პირდაპირ მიზანს არ წარმოადგენს. ამ დროს ადგილი აქვს რომელიმე აქტუალური მოთხოვნილებით აღძრულ ქცევის განხორციელების პროცესს, რომლის მიმდინარეობის გზაზე რაღაც-რაღაცეების დასწავლა ხდება. ასეთ სწავლას ადამიანის ცხოვრებაში ხშირად აქვს ადგილი. მაგ: ჭამის პროცესში დანა-ჩანგლის ხმარებას ვსწავლობთ, ან თამაშის პროცესში ლექსებს ან მეორე ენას ვეუფლებით.

ჰეტეროგენული მოტივებით აღძრული სწავლის დროს სუბიექტი არაა დაინტერესებული სასწავლო აქტივობით და ცოდნა-ჩვევის შეძენით. ჰეტეროგენული მოტივები ორი სახისაა- იძულებით და თავისუფალი. პირველის დროს სწავლა გარეგანი იძულებით უკავშირდება მოსწავლის რაიმე მოთხოვნილებას. თავისუფალი ჰეტეროგენული მოტივები პიროვნების საკუთარი მოტივაციური სტრუქტურების სფეროდან მომდინარეობენ და ამის გამო თავისუფალ ხასიათს ატარებენ. სუბიექტი თვითონაა დაინტერესებული

სასწავლო ქცევის განხორციელებით, რამდენადაც ის მის ინტერესთა სფეროს აკმაყოფილებს. ასეთი მოტივები, სასწავლო ქცევაში უამრავი სახისაა. რგორიცაა: ჯილდოს მიღება, ნიშანი, სიყვარული, სოციალური მოტივები და სხვა. ჰომოგენურ მოტივებზე აგებული სწავლა ან ნებისყოფის, ან ინტელექტუალური აქტივობის მოთხოვნილების საფუძველზე მიმდინარეობს. ამ დროს სწავლა ცოდნის ობიექტური ღირებულებითა და ცოდნის მოთხოვნილების საფუძველზე ხორციელდება.

ჰომოგენური მოტივებით განპირობებული სწავლაა ნამდვილი სწავლა. ამიტომ ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რათა გარეგანი, ჰეტეროგენული მოტივები გადაიზარდოს შინაგან, ჰომოგენურ მოტივებად. სწორი პედაგოგიური ზემოქმედებით კი ამის მიღწევა შესაძლებელია.

გავეცანი მოსწავლეთა მოტივაციის ჩამოყალიბების სტრატეგიებს. სკოლაში არის ძალიან ბევრი მოსწავლე, რომელიც მასწავლებლის მხარდაჭერის გარეშე ვერ ახერხებს სასწავლო საქმიანობის განხორციელებას. მეცნიერები იძლევიან რეკომენდაციებს, რომლებიც დაეხმარება


ქართულ-ამერიკული სკოლა „პროგრესის“ გერმანული ენის მასწავლებლის ნათია ჯანჯღავას
პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის ანგარიში
2017-2018 სასწავლო წელი

მასწავლებლებს მოსწავლეთ მოტივაციის ამადლების საქმეში: 1) რაც შეიძლება ხშირად ჩააგონეთ მოსწავლეებს, რომ მათ ყველაფერი კარგად გამოუვათ. 2) მიეცით საშუალო სირთულის ამოცანები, რომელიც არც ძალიან ძნელია და არც ძალიან ეადვილებათ. წარმატების შემთხვევაში ისინი საკუთრი თვის რწმენით აღივსებიან. 3) დაეხმარეთ მოსწავლეებს გაიგონ, რომ ისინი დავალებას აკეთებენ არა თქვენთვის, არამედ საკუთრი ცოდნის დონის ასამაღლებლად. და 4) დაეხმარეთ მოსწავლეებს თავი იგრძნონ კლასის სრულუფლებიან წევრებად.

მოსწავლეთა მოტივაციის ამადლებას ხელს უწყობს შემდეგი ფაქტორები: 1)მასწავლებლის ენთუზიაზმი, 2)შესაბამისი მასალა, 3) მაღალ დონეზე ორგანიზებული სასწავლო კურსი, 4) საშუალო სირთულის მასალა, 5) მოსწავლეების აქტიური ჩართვა სასწავლო პროცესში, 6) ურთიერთობის ფაქტორი მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის. 7) მრავალფეროვნება და 8) ცოცხალი, კონკრეტული და ადვილად გასაგები მაგალითების მოყვანა.

მოსწავლეთ მოტივაციის ამადლებას ხელს სხვა ფაქტორებიც უწყობენ. როგორცაა: 1) რეალური მიზნების დასახვა. არარეალური მიზნების მარცხი და იმედგაცრუება მოაქვთ. ასწავლეთ მოსწავლეებს საკუთარი შესაძლებლობების სწორად შეფასება და გამოყენება. ნუ მისცემთ თვითკმაყოფილების საშუალებას, მაშინაც კი, როცა ისინი მაღალ შეფასებას იმსახურებენ. ასწავლეთ კრიტიკული მიდგომა თავიანთი ნამუშევრებისადმი, 2) წარმატების მიღწევის სწავლება. არაა ყოჩინი და ლანძღვა საჭირო. 3) ხელი შეუწყვეთ მოტივაციის ამადლებას. ხმარებიდან ამოიღეთ ლექსიკონიდან ისეთი სიტყვები, როგორცაა: „მე მოვითხოვ, თქვენ უნდა გააკეთოთ“ და ა.შ. 4)არ დაუშვათ მწვავე კონკურენცია მოსწავლეებს შორის. არაჯანსაღ კონკურენციის დროს მოსწავლეები ეჯიბრებიან ერთმანეთს, რაც თანამშრომლობას გამორიცხავს. 5) ააგეთ სასწავლო პროცესი მოსწავლეთ ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. 6) შეძლებისდაგვარად მიეცით მოსწავლეებს არჩევანის უფლება. არჩევანის უფლება არ ეხება ტესტებს. სასწავლო კურსი უნდა შეადგინოს მასწავლებელმა, რომ მოსწავლეს საშუალება ექნეს აირჩიოს თემა ან საკითხი. 7) გამოყენებული უნდა იქნას მრავალფეროვანი მეთოდები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეთ უფრო აქტიურ ჩართვას სასწავლო პროცესში და მათ მოტივაციას ზრდის. როგორცაა: როლების თამაში, დებატები, „გონებრივი იერიში“, დისკუსია, თვალსაჩინოება, მცირე ჯგუფებად მუშაობა და სხვა. 8) შეფასება. ერიდეთ მოსწავლეთ შეფასებას ცუდი ნიშნებით. ცუდმა ნიშნებმა ზოგჯერ შეიძლება გაამართლოს კიდეც, მაგრამ, ხშირად, ის დაპირისპირებასა და რწმენის დაკარგვის საფუძვლად გვევლინება. 9) გამოიყენეთ პოზიტიური, დადებითი შექება, რაც ზრდის მათ რწმენას. 10) ერიდეთ დამამცირებელი კომენტარების გაკეთებას, რომლებიც ბავშვებში აჩენს უარყოფით ემოციურ ფონს, რაც იწვევს მოსწავლესა და მასწავლებელს შორის ურთიერთობის გაფუჭებას.

გავეცანი აბრაამ ჰაროლდ მასლოუს მოტივაციის იერარქიულ მოდელს. მასლოუმ გამოყო მოთხოვნილებათა 5 დონე, რომელიც ახასიათებს ყველა ადამიანს:



ადამიანი ქცევა რთული ფენომენია და გარეგნულად ერთსა და იმავე ქცევას შეიძლება განსხვავებული მოტივაცია ედოს საფუძვლად. მაგალითად, მოსწავლის ქცევა-კარგად სწავლა-შეიძლება სხვადასხვა მოტივით იყოს განპირობებული. ზოგისთვის კარგად სწავლის მოტივია დასჯის შიში, ზოგისთვის ინტერესი, ზოგისთვის აღიარების მოთხოვნილება. მოტივაციის ფსიქოლოგიაში განასხვავებენ გარეგან და შინაგან მოტივაციას. მასლოუს იერარქიულ მოდელში გარეგანი სტიმულები (შინაგანი მოტივაცია) უდევს საფუძვლად. ეფექტური სწავლება მოსწავლეთა მოტივაციის დონეზეა დამოკიდებული. მასლოუს იერარქიის მიხედვით, სწავლის მოთხოვნილების აღმძვრელი შეიძლება იყოს განსხვავებული დონის მოტივაცია.

გავეცანი მოტივაციის არსს. მოტივაციის მდგომარეობაზე დამოკიდებულია თავის ტვინის ქერქში ამა თუ იმ გრძნობით აგზნების დაშვება, მათ გაძლიერება ან შესუსტება. გარე სტიმულის ეფექტურობა დამოკიდებულია, არა მხოლოდ მის ობიექტურ თვისებებზე, არამედ ორგანიზმის მოტივაციურ მდგომარეობაზეც. (მაძლარი ორგანიზმი არ რეაგირებს ყველაზე მიმზიდველ საკვებზეც კი).

ტერმინი „მოტივი“ ლათინურად ნიშნავს განზრახვას, თუმცა ყოველგვარი განზრახვა როდი წარმოადგენს მოტივს; ქცევა შეიძლება წაქეზებული იქნეს გრძნობებით, განწყობით. მოტივი მიზნის მიღწევის გაცნობიერებული განზრახვაა.

მოტივი-ადამიანის ქცევის აზრთწარმოქმნელი კომპონენტია. ის განზრახვას პიროვნულ აზრს, როგორც ადამიანის საქმიანობას და მის ცალკეულ ქმედებებს ამ საქმიანობის სტრუქტურაში.

ვეფქრობ, რომ ყოველივე ზემოთხსენებულის გათვალისწინება განაპირობებს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა სწავლისადმი მოტივაციის დონის ამაღლებას.

III თავი- მეთოდოლოგია

საკვლევი კითხვები: მთავარი შეკითხვა: შეუძლია თუ არა საგნის მასწავლებელს აუმაღლოს მოსწავლეებს მოტივაცია?

- რამდენად ხშირად იგეგმება მოტივაციის ამაღლებისთვის მრავალფეროვანი აქტივობები?
- იწვევს თუ არა მოტივაციის ამაღლებას ინტეგრირებული გაკვეთილები, საწრეო მუშაობა, ვიქტორინა, ფილმის ჩვენება და ა. შ. ?
- რამდენად ხშირად მიმართავენ წახალისების სხვადასხვა ფორმებს?
- როგორ ხდება მოსწავლეებში მასწავლებლის როლის გათვალისწინებით მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლება?

მოტივაციის ასამაღლებლად თანამშრომლობს თუ არა მასწავლებელი მშობლებთან.

სამიზნე ჯგუფი:

სკოლის ადმინისტრაცია	მოსწავლეები	მასწავლებლები	მშობლები
ადმინისტრაცია უნდა იყოს ჩართული, რადგან კვლევის დროს გვესაჭიროება სასკოლო რესურსები.(მაგ. პროექტორი)	ჩემი მიზანია ავამაღლო გერმანული ენის სწავლების მოტივაციის დონე მოსწავლეებში.	მინდოდა გამეგო სხვების აზრი, გამოცდილება, აქვთ თუ არა სხვა ჯგუფებს ანალოგიური პრობლემა.რა რჩევებს მომცემდნენ არსებულ პრობლემასთან დაკავშირებით.	მინდა ვიცოდე - იწვევს თუ არა მოტივაციის ამაღლებას ინტეგრირებული გაკვეთილები, პროექტული სწავლება, ვიქტორინა, გაცვლითი პროგრამა და სხვა.

კვლევის მეთოდები:

- საკვლევი თემა: მოტივაცია
 - კვლევის მეთოდი: ანკეტირება, ინტერვიუ.
 - სამიზნე ჯგუფი: მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი.
 - ანკეტირება: მოსწავლეებთან , ადმინისტრაციისთან და მშობლებთან.
 - ინტერვიუ: მასწავლებლები.
- მოვამზადე კითხვარები-მოსწავლეებისთვის (დანართი 1), მშობლებისთვის (დანართი2) და ადმინისტრაციისთვის(დანართი 3). ამ მეთოდს მივმართე იმიტო, რომ გამეგო მათი აზრები არსებულ პრობლემასთან დაკავშირებით.

3.5.კვლევის განრიგი/ვადები


N	აქტივობა	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი
1	კვლევის სტრუქტურის გაცნობა.	*									
2	გაკვეთილზე დაკვირვება		*								
3	ლიტერატურის გაცნობა		*	*	*	*					
4	საკვლევი თემის მიმოხილვა,კითხვარის შედგენა, დამუშავება და გამოკითხვა,მიღებული შედეგების ანალიზი		*								

5	ინტერვიუ პედაგოგებთან			*						
6	ინტერვენციების განხილვა და განხორციელება			*						
7	ინტერვენციების შედეგების ანალიზი			*	*	*	*	*	*	
8	შედეგების გაცნობა/პრეზენტაცია სკოლის პედაგოგებთან/რეკომენ დაციები									*


IV თავი

მონაცემთა ანალიზი: მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგები:

1. სიტყვიერი შექება ან წახალისება მასწავლებლის მხრიდან ზრდის თუ არა მოსწავლეთა მოტივაციას?




2. რამდენად ხშირად იგეგმება მოტივაციის ამაღლებისთვის მრავალფეროვანი აქტივობები?




ქართულ-ამერიკული სკოლა „პროგრესის“ გერმანული ენის მასწავლებლის ნათია ჯანჯღავას პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის ანგარიში
2017-2018 სასწავლო წელი


3. ზრდის თუ არა მოტივაციას ვიქტორინა, საწრეო მუშაობა, გაცვლითი პროგრამა, როლური თამაშები ,ფილმის ჩვენება და ა. შ.?




4. დავალების სირთულე მოტივაციას უქვეითებს თუ არა მოსწავლეს.



5. პედაგოგის როლი მოტივაციის ამაღლების მიზნით.




6. დავალების სირთულე მოტივაციის დაქვეითებასთან დაკავშირებით.




მშობელთა გამოკითხვის შედეგები:


1. რამდენად იყენებენ მშობლები შვილებთან მოტივაციის ამაღლების მიზნით წახალისებას,(განმავითარებელი შეფასება: ყოჩაღ, კარგი ბიჭი ხარ) და ჯილდოს.



2. მშობელთა ჩართულობა და თანამშრომლობა სწავლის პროცესში მოტივაციის ამაღლების მიზნით.



3. როგორ ეხმარება მშობელი პედაგოგს შვილის მოტივაციის ამაღლებასთან დაკავშირებით?



ინტერვიუ მასწავლებლებთან-მონაცემთა შეგროვების ამ მეთოდების დაყრდნობით დავადგინე, რომ გერმანულ ენაში ჩატარდეს სხვადასხვა სახის აქტივობები. გამოყენებული იქნას ავთენტური მასალა, ვიდეო-გაკვეთილები, გაცვლითი პროგრამები, ვიქტორინა , ტექსტებზე მუშაობა და ა.შ. ხშირად ჩავრთოთ მშობლები. ხშირად მივცეთ მოსწავლეებს განმავითარებელი შეფასება, რომელიც აუმაღლებს მოტივაციას მოსწავლეებს და დაეხმარება მომდევნო გაკვეთილის უკეთ მომზადებაში.

ანკეტა ადმინისტრაციისთვის-მონაცემთა შეგროვების ამ მეთოდით დავადგინე, რა იწვევს მოსწავლეთა მოტივაციის დაქვეითებას. პედაგოგთა მიდგომა და დამოკიდებულებები, სახელმძღვანელოები, საზოგადოებაში არსებული არაჯანსაღი დამოკიდებულება. მშობელთან თანამშრომლობა. პედაგოგმა განახორციელოს პროექტული სწავლება და სხვადასხვა ღონისძიებებში მოსწავლეთა ჩართვა, საინტერესო მასალების შერჩევა მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე. დაანახეთ მოსწავლეებს ის, რომ სწავლა სიამოვნებაა. მივცეთ მოსწავლეებს წარმატების მიღწევის იმედი.მოსწავლეებთან კარგი ურთიერთობის დამყარება, სითბოს, კეთილგანწყობისა და სიყვარულის გამოხატვა.

ძირითადი მიგნებები: მონაცემთა ანალიზის შედეგად მიგნებულია პრობლემა- მოსწავლეებს აქვს დაბალი მოტივაცია გერმანული ენისადმი, ნაკლებია მასწავლებლის როლი მოტივაციის ამაღლების კუთხით, ნაკლებად არიან ჩართული სხვადასხვა სახის ღონისძიებებში, განიცდიან შექებისა და ჯილდოს ნაკლებობას, დავალების სირთულე უქვეითეს მოტივაციას სწავლებისადმი, მშობლები ნაკლებად არიან ჩართული შვილების მოტივაციის ამაღლების

ქართულ-ამერიკული სკოლა „პროგრესის“ გერმანული ენის მასწავლებლის ნათია ჯანჯღავას
 პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის ანგარიში
 2017-2018 სასწავლო წელი

კუთხით, არ იცინა, რომ სხვადასხვა კუთხით მოტივაციის ამაღლება ხელს უწყობს საგნისადმი ინტერესს და სწავლების დონეც მაღალია, ხშირად არ იყენებენ მოტივაციის ამაღლების მიზნით წახალისებას.

V თავი

ინტერვენციები:

მონაცემთა ანალიზის დადგენის შემდეგ გადავწყვიტე:

1. გავეცანი მოტივაციის ამაღლებასთან დაკავშირებულ ლიტერატურას .
2. შევიმუშავე მოტივაციის ამაღლებისთვის საჭირო სტრატეგიები.
3. შევიმუშავე სხვადასხვა ინტერვენციები მოტივაციის ამაღლების მიზნით.
4. მასწავლებლის როლი, თუ რა ხერხით ცდილობს მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლებას.

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე განვახორციელე საწრეო მუშაობა, ვიქტორინა, ჩავრთე მოსწავლეები საერთაშორისო გამოცდებში , მოვამზადე გაგება - გააზრებაზე ორიენტირებული და ლექსიკური მარაგის გასამდიდრებელი ტესტები და ა. შ., მასწავლებლის როლი მდგომარეობს იმაში, რომ მოსწავლეებმა დაინახეს მასწავლებლის ენთუზიაზმი, შრომისმოყვარეობა, ჰუმანურობა, ვიყენებდი პოზიტიურ, დადებით შექებას, ყოველთვის ვცდილობდი გარკვეულ საკითხებში მოსწავლეთა დახმარებას, ვიყავი მათი ფასილიტატორი, რომლებმაც გაუღვიძა მოსწავლეებს გერმანული ენის სწავლების ინტერესი.

გავითვალისწინე ასევე მოსწავლეთა შესაძლებლობები და ინტერესები. გადავწყვიტე, მოტივაციის ამაღლების მიზნით უცხოელი პედაგოგების ჩართვა საგაკვეთილო პროცესში.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ სხვადასხვა სახის აქტივობებით და მასწავლებლის დახმარებით იზრდება მოსწავლეებში მოტივაცია სწავლისადმი.

1. ფილმის ჩვენება

ქართულ-ამერიკული სკოლა „პროგრესის“ გერმანული ენის მასწავლებლის ნათია ჯანჯღავას პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის ანგარიში
2017-2018 სასწავლო წელი

მიზანი: ამოიცინოს უცნობი სიტყვების, გამოთქმების მნიშვნელობას ნაცნობ ელემენტებზე დაყრდნობით, ინიშნავს უცხო სიტყვებს მათი მნიშვნელობის გასარკვევად, უყურებს და უსმენს ფილმს უცხოურ ენაზე, ახერხებს ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვას და მის განმარტებას (რა მოსწონს/არ მოსწონს, რატომ).

ინტერვენციის შეფასება: მასწავლებელი ეტაპობრივად, მოსწავლეთა დახმარებით ხსნის ახალ სიტყვებს კონტექსტის მიხედვით, ანალიზებს ცალკეულ ფრაგმენტებს. მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ ინტერაქციაში.

შედეგი: ეჩვევიან საკუთარი მოსაზრებების გამოთქმა-დასაბუთებას, ამით კი უვითარდებათ ანალიტიკური, კრიტიკული აზროვნება, დაისწავლიან სხვადასხვა ლექსიკურ ერთეულებს.

2. გოეთეს ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო გამოცდებში მონაწილეობა

მიზანი: გერმანული ენის ობიექტური შეფასება, საერთაშორისო გამოცდაში მონაწილეობის გამოცდილება, გაზარდოს მოსწავლეთა თვითშეფასების უნარი, ენის შესწავლის მოტივაციის გაძლიერება.

ინტერვენციის შეფასება: ვთავაზობ მოსწავლეებს არსებული საერთაშორისო გამოცდებისთვის სხვადასხვა სახის სავარჯიშოებს, რომელიც შეესაბამება საერთო ევროპული ენების ჩარჩოდონების ექვს-საფეხურიანი კომპონენტთა სკალის პირველ საფეხურს. ვასმენინებ მოსწავლეებს მოკლე ყოველდღიურ საუბარს, პირად სატელეფონო საუბარს ან საჯარო განცხადებებს. წაიკითხავენ მოკლე ჩანაწერის მსგავს ტექსტებს, მოკლე განცხადებებს, ტექსტებს მითითების აზრებზე და დაამუშავენ დავალებებს. შეავსებენ მარტივ ფორმულარებსა და დაწერენ მოკლე პირადულ ტექსტს ყოველდღიურ სიტუაციიდან გამომდინარე.

შედეგი: მოსწავლეები დაძლევენ მოსმენის, საუბრისა და წერა-კითხვაში არსებულ პრობლემებს, მიეჩვევიან ანალიტიკურ აზროვნებას და გაიმდიდრებენ ლექსიკურ მარაგს. დაძლევენ გამოცდებთან დაკავშირებულ შიშის სინდრომს.

3. გერმანულ პრაქტიკანტების მიერ გაკვეთილის ჩატარება

მიზანი: უცხოელი პრაქტიკანტების ჩართულობით ავამაღლო მოსწავლეებში გერმანული ენის სწავლებისადმი მოტივაციის დონე. ხელი შევუწყოთ მოსმენის და საუბრის უნარის განვითარებას, საგნისადმი ინტერესის ზრდას.

ინტერვენციის შეფასება: მოსწავლეები თამაშით სახით ეუფლებიან გრამატიკულ ერთეულებს. ეცნობიან სხვა ქვეყნის კულტურას. უცხო სიტყვების სწორად წარმოთქმას და გაგებას.

შედეგი: გამოიწვია კლასის დაინტერესება, ცდილობდნენ სიტყვების სწორად დალაგებას, მოსაუბრისა და სამეტყველო ინტენციის ერთმანეთთან დაკავშირებას.

4. გაცვლითი პროგრამა უცხოეთში

მიზანი: გერმანული ენის გაღრმავება, უცხოური კულტურის გაცნობა.

ინტერვენციის შეფასება: მოსწავლე ესწრებოდა გერმანულ ენოვან გაკვეთილებს, ერთვებოდა დისკუსიებში, როლურ თამაშებში. მიღებულ გამოცდილებას უზიარებს თანაკლასელებს.

შედეგი: გამოიწვია მოსწავლეთა დაინტერესება. მოტივაციის დონე გაძლიერდა საგნის მიმართ, ცდილობენ უკეთესად დაეუფლონ გერმანულ ენას.

5. ინტერვენცია: გაგება -გააზრებაზე ორიენტირებული და ლექსიკური მარაგის გასამდიდრებელი ტესტი.

მიზანი: ლექსიკური ერთეულების გაღრმავება.

ინტერვენციის შეფასება: ვთავაზობთ მოსწავლეებს სხვადასხვა სახისა და სირთულის ტექსტებს, რომლებიც ამომწურავად არის დამუშავებული. ტექსტებს ახლავს, როგორც წაკითხულის გაგება-გააზრებაზე ორიენტირებული კითხვები და დავალებები, აუცილებელი სხვადასხვა სააზროვნო უნარების გასააქტიურებელი და განმავითარებელი სავარჯიშოები. ლექსიკური მარაგის გასამდიდრებლად შეირჩევა სხვადასხვა ტიპის ტესტური დავალებები.

შედეგი: მოსწავლეები დაძლევენ წერა-კითხვაში არსებულ პრობლემებს, მიეჩვენებინათ ანალიტიკურ აზროვნებას და გაიმდიდრებენ ლექსიკურ მარაგს.

6. ვიქტორინა

მიზანი: მოსწავლეთა გუნდური მუშაობის, ინფორმაციის სწრაფად დამუშავების, ურთიერთკომუნიკაციის დახვეწის და შექმნილი ცოდნის განმტკიცება. მოსწავლეებს უვითარდებათ აქტიური მოსმენის უნარი და ლოგიკური აზროვნება.

ინტერვენციის შეფასება: ვთავაზობ მოსწავლეებს კითხვებს სხვადასხვა თემატიკაზე.

შედეგი: გამარჯვებულის გამოვლენა და დასაჩუქრება. მოსწავლეებს უვითარდებათ გუნდური მუშაობის და ინფორმაციის სწრაფად დამუშავების უნარი. ვიქტორინა უვითარებს მოსწავლეს სწრაფი აზროვნების, ყურადღების, დაკვირვებულობის, სწორი დასკვნების გამოტანის, ინფორმაციის მიღებისა და სწრაფად შესაფერისი პასუხის შერჩევის უნარს. აჩვენებს თანამშრომლობას თანაკლასელებთან ჯგუფური მუშაობის შესრულებისას. მოსწავლეებს შეუძლიათ გაიგონ და გაანალიზონ სხვისი ნააზრევი სწრაფად და თანაც განსაზღვრულ დროში.

7. საწრეო მუშაობა

მიზანი: მოსწავლეები გაიმდიდრებენ ლექსიკურ ერთეულებს, საკუთარი აზრის გამოთქმა, მოსმენითი სავარჯიშოების შესრულება და საუბრის უნარის განვითარება, წერილის წერა.

ინტერვენციის შეფასება: მოსწავლეები ისმენენ სხვადასხვა სახის დიალოგებს და პარალელურად ასრულებენ მოსასმენი სავარჯიშოთა დავალებებს. მასწავლებელი ეტაპობრივად, მათი დახმარებით ხსნის ახალ სიტყვებს კონტექსტის მიხედვით. მოსწავლეები ერთმანეთს უსვამენ მარტივ კითხვებს, გაითამაშებენ მინი დიალოგებს. ნაცნობ ლექსიკაზე დაყრდნობით ერთმანეთს წერენ წერილებს.

შედეგი: ეჩვევიან თავისუფალ საუბარს, მარტივი კითხვების დასმა და მასზე პასუხის გაცემა. ეცნობიან სხვადასხვა ლექსიკურ ერთეულებს. ხდება მოსმენის უნარის განვითარება. უვითარდებათ წერითი მეტყველების უნარი.

VI თავი

რეკომენდაციები: 1. გაამდიდრეთ სასწავლო პროცესი მრავალფეროვანი აქტივობებით და სტრატეგიებით:

- ლინგვისტური თამაშები, მასწავლებელს შეუძლია შეთავაზოს მოსწავლეებს სამეტყველო ნიმუშის სისტემა, თითოეული მოდელი ხასიათდება კონკრეტულობით, მიეწოდება მარტივი წინადადებების სახით. მისი ანალოგიით შეუძლიათ ააგოს რამდენიმე ფრაზა. ასეთი სამუშაო ხელს უწყობს გრამატიკული მასალის ათვისებას.
- როლური თამაშები. როლური თამაში შეიძლება განხორციელდეს სასწავლო სიტუაციისა და ბუნებრივი, რეალური სიტუაციის საფუძველზე. ამით უფრო სახალისო და საინტერესო გახდება სასწავლო პროცესი.
- სხვადასხვა სახის ოლიმპიადებში, საერთაშორისო გამოცდებში, პროექტებში ჩართვა.

2. ღონისძიებები, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას.


- გარკვეულ შემთხვევაში არჩევანის უფლების მინიჭება
- მიეცით მოსწავლეებს აზრის თამამად გამოხატვის შესაძლებლობა
- დაარწმუნეთ მოსწავლე საკუთარ შესაძლებლობაში
- მოსწავლეთა რჩევების გათვალისწინება. მაგ: რა უფრო საინტერესო იქნება მათთვის.

კვლევის შედეგები: ზემოთ ხსენებული ინტერვენციების, ჯგუფში განხორციელების შემდეგ, დაძლეულ იქნა ის პრობლემა, რაც ჩემი კვლევის დაწყების მიზეზი იყო. ყოველივე გამოიხატება შემდეგში: მასწავლებლის როლის გათვალისწინებით აქტივობების განხორციელება, სხვადასხვა სახის პროექტებში ჩართვა, ლექსიკური ერთეულების გადრმავება, საკუთარი აზრის თავისუფლად გამოთქმა და დასაბუთება, პედაგოგის შრომისმოყვარეობა, ენთუზიაზმი.


ყოველივე ეს, კი შედეგია იმისა, რომ გაიზარდა მოსწავლეებში საგნისადმი ინტერესი. დიდი როლი უჭირავს პედაგოგს საბაზო საფეხურის მოსწავლეებში საგნისადმი დაინტერესების მიზნით. როდესაც მოსწავლე ხედავს, რომ მასწავლებელი შრომისუნარიანობით და

ენტუზიაზმით არის სავსე, ეხმარება მათ გარკვეული სირთულის დავალებების ამოხსნაში, მკაფიოდ დაანახებს საგნის სწავლების აუცილებლობას, ამ შემთხვევაში მოტივაცია იზრდება საბაზო საფეხურის მოსწავლეებში.

კვლევის დაწყებამდე:



კვლევის შემდგომი შედეგები:



ქართულ-ამერიკული სკოლა „პროგრესის“ გერმანული ენის მასწავლებლის ნათია ჯანჯღავას პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის ანგარიში
2017-2018 სასწავლო წელი

VII თავი

დასკვნები: ქართულ-ამერიკული სკოლა „პროგრესის“ მე-8 კლასში ჩატარებული თეორიული და ექსპერიმენტული კვლევის საფუძველზე, რომელიც მოიცავდა პრობლემის შესწავლის, შესაბამისი ინტერვენციების დაგეგმვა/განხორციელებისა და შეფასების ეტაპებს, შემიძლია გავაკეთო შემდეგი დასკვნები:

1. მშობლის ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მოსწავლეთა წარმატებისათვის. გამოკვლევის თანახმად, რაც უფრო მეტად არის ჩართული მშობელი შვილის სწავლებისა და განათლების მიღების პროცესში, ესაუბრება მას განათლების მიღების მნიშვნელობაზე და ეხმარება მას სწავლის პროცესში წარმოქმნილი პრობლემის გადალახვაში, მით უფრო მაღალია მოსწავლეთა მოტივაცია სწავლასთან დაკავშირებით.

მასწავლებლის შრომისუნარიანობით, სამართლიანობით და სხვადასხვა აქტივობებით და მეთოდური საშუალებების გამოყენებით (ინტერვენციები, განმავითარებელი შეფასება და სხვა) შესაძლებელი ხდება საბაზო საფეხურზე მოტივაციის ამაღლება, რაც გამოიხატება იმაში, რომ მოსწავლეები აქტიურად ერთვებიან სხვადასხვა სახის პროექტებში, გაიღრმავებენ ლექსიკურ ერთეულებს, შეუძლიათ საკუთარი აზრის თავისუფლად გამოთქმა და დასაბუთება. არ აქვთ საელთაშორისო გამოცდების შიში.

კოლეგებისათვის გაზიარება:

მიმდინარე წლის 12 ივნისს ჩემი კვლევის ანგარიში წარვუდგინე კოლეგებს სკოლის ბაზაზე.

საპრეზენტაციოდ გამოვიყენე PowerPoint-ში აწყობილი სლაიდი .

კოლეგები ყურადღებით ადევნებდნენ თვალს კვლევის შედეგად მიღებულ სტატისტიკას. მოიწონეს ინტერვენციები, რომლებიც განვახორციელე კვლევის პროცესში.

მათ დამისვეს შეკითხვები:

1. რომელი ინტერვენცია დაეხმარა ყველაზე მეტად მოსწავლეებს მოტივაციის ამაღლებაში?
2. რამდენი ხანი გრძელდებოდა საწრეო მუშაობა და რამდენი ბავშვი იყო ჩართული?
3. რამდენი მოსწავლე მონაწილეობდა გოეთეს ინსტიტუტის მიერ განხორციელებულ საერთაშორისო გამოცდებში.

4. როგორ ხდებოდა მასწავლებლის როლის გათვალისწინება მოსწავლეთა მოტივაციის ამადლების კუთხით.

გარკვეული მიზეზების გამო კოლეგების ნაწილი ვერ ესწრებოდა კვლევის ანგარიშს, თუმცა გამოთქვეს სურვილი კვლევის ანგარიშის გაცნობის.

ბიბლიოგრაფია:

1. ეროვნული სასწავლო გეგმა, მოსწავლის მოტივაციის გაზრდა, მუხლი 34.
 2. დევიძე ო.,-„მასწავლებელთა ფსიქოლოგიური მომზადების საკითხები“. ქუთაისი 2009.
 3. დევიძე ო.,-„მოტივაციური ფაქტორების გავლენა მოსწავლეთ აზროვნებაზე“. ქუთაისი 2013წ.
 4. თეზელაშვილი ს, ფსიქოლოგიური ენციკლოპედია,თბილისი 2007წ.
- 3.მოტივაციის იერარქიული თეორია აბრაამ მასლოუ
<https://civiledublog.wordpress.com/2016/03/31/maslou/>

დანართი 1: მოსწავლის ანკეტა

1. თქვენი აზრით თანამედროვე საზოგადოებაში არის თუ არა სწავლა პრესტიჟული?
 - ა. დიახ
 - ბ. არა
 - გ.ნაწილობრივ

2. თქვენი აზრით მოსწავლეთა დაინტერესების მიზნით რა უნდა გააკეთოს გერმანული ენის პედაგოგმა?
 - ა. ინტეგრირებული გაკვეთილი
 - ბ. ვიქტორინა
 - გ.ფილმის ჩვენება
 - დ. და სხვა.....

3. როგორი წარმოგიდგენით კარგი მასწავლებელი, რომელიც შეძლებს თქვენში სწავლისადმი მოტივაციის ამაღლებას?
- ა. შრომისუნარიანი
 - ბ. სამართლიანი
 - გ. ჰუმანური
 - დ. და სხვა.....
4. თქვენი აზრით როგორ უნდა დაგეხმაროთ პედაგოგი, რათ მარტივად შეძლოთ გერმანული ენის შესწავლა?
- ა. ინოვაციური გაკვეთილების ხშირი წარმართვა.
 - ბ. თამაშით სწავლა
 - გ. ჯგუფური მუშაობა
 - დ. და სხვა.....
5. სიტყვიერი შექება ან წახალისება მასწავლებლის მხრიდან ზრდის თუ არა მოსწავლეთა მოტივაციას?
- ა. დიახ
 - ბ. არა
 - გ. ნაწილობრივ
6. უპრატესობას ვანიჭებ ოლიმპიადებსა და საერთოშორისო გამოცდებში ჩართვას.
- ა. დიახ
 - ბ. არა
 - გ. ნაწილობრივ
7. რამდენად უქვეითებს დავალების სირთულე მოტივაციას?
- ა. დიახ
 - ბ. არა
 - გ. ნაწილობრივ

8. რამდენად ხშირად იგეგმება მოტივაციის ამაღლებისთვის მრავალფეროვანი აქტივობები?

- ა. დიახ
- ბ. არა
- გ. ნაწილობრივ

9. რამდენად მნიშვნელოვანია ქულა მოტივაციის ამაღლების მიზნით.

- ა. დიახ
- ბ. არა
- გ. ნაწილობრივ

დანართი 2.ანკეტა მშობლებისთვის:

1. როგორ ეხმარებით პედაგოგს თქვენი შვილის მოტივაციის ამაღლების პროცესში?

- ა. ვთანამშრომლობ პედაგოგთან
- ბ. ხშირად ვსაუბრობ შვილთან
- გ. და სხვა.....

2. რამდენად იყენებენ მშობლები შვილებთან მოტივაციის ამაღლების მიზნით წახალისებას, (განმავითარებელი შეფასება: ყოჩაღ, კარგი ბიჭი ხარ) და ჯილდოს.

- ა. დიახ
- ბ. არა
- გ. ნაწილობრივ

3. რამდენად ხშირად ეხმარებით თქვენს შვილს დავალების განხილვაში.

- ა. დიახ
- ბ. არა
- გ. ნაწილობრივ

4. ვინ ეხმარება ბავშვს სწავლისადმი მოტივაციის ამაღლებაში?

- ა. მეგობრები

ქართულ-ამერიკული სკოლა „პროგრესის“ გერმანული ენის მასწავლებლის ნათია ჯანჯღავას
პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის ანგარიში
2017-2018 სასწავლო წელი

- ბ. მასწავლებელი
- გ. მშობელი
- დ. ნათესავები

5. სანამ თქვენი შვილი გერმანული ენის სწავლას დაიწყებდა, რამდენად ხშირად იყავით დაკავებული თქვენი შვილისთვის აგემადლებინათ მოტივაცია არსებული საგნის მიმართ.

- ა. დიახ
- ბ. არა
- გ. ნაწილობრივ

6. რამდენად ხშირად რთავთ თქვენს შვილს პედაგოგის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებში.

- ა. ხშირად
- ბ. ნაწილობრივ
- გ. საერთოდ არ ვრთავ

7. მოტივაციის ამაღლების კუთხით, რამდენად იყენებთ შვილებთან გარეგან სტიმულს.

- ა. კარგი ქულის მიღებისას ვჩუქნი 5 ლარს.
- ბ. მიიღებ 10 ქულას წაგიყვან მაგდონალცში.
- გ. მოამზადებ გაკვეთლებს და გაგიშვებ კინოში
- დ. და სხვა.....

დანართი 3. ანკეტა ადმინისტრაციისთვის

1. რა იწვევს მოსწავლის მოტივაციის დაქვეითებას ამ ასაკში?
 - ა. არასწორად შერჩეული სახელმძღვანელო
 - ბ. პედაგოგთა მიდგომა და დამოკიდებულებები
 - გ. საზოგადოებაში არსებული არაჯანსაღი დამოკიდებულება
 - დ. და სხვა.....

2. რამდენად მნიშვნელოვანია მშობელთა ჩართულობა და თანამშრომლობა აღნიშნულ მოტივაციასთან დაკავშირებით.

- ა. დიახ

ქართულ-ამერიკული სკოლა „პროგრესის“ გერმანული ენის მასწავლებლის ნათია ჯანჯღავას
 პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის ანგარიში
 2017-2018 სასწავლო წელი

ბ. არა

გ. ნაწილობრივ

3. რა რეკომენდაციებს მიცემდით გერმანული ენის პედაგოგს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების მიზნით.

.....
.....
.....

დანართი 4. ინტერვიუ მასწავლებლებთან

1. რა ფაქტორები უწყობს ხელს სწავლის მოტივაციის ამაღლებას?
2. რა განაპირობებს საგნისადმი სიყვარულს ?
3. რა რეკომენდაციებს მიცემდით გერმანული ენის პედაგოგს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების მიზნით.
4. თქვენი პრაქტიკიდან მასწავლებლის მხრიდან ზრდის თუ არა მოტივაციას სიტყვიერი შექება ან წახალისება?